დანართი 1

დამტკიცებულია

შპს თავისუფალი ხედვის აკადემიის

ხელმძღვანელის 2025 წლის 17 ოქტომბრის N 01/107 ბრძანებით

აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები გასაუბრებისთვის

შეფასება ხორციელდება რუბრიკის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ოთხსაფეხურიან სკალას (1-დან 4 ქულამდე), სადაც 4 ქულა წარმოადგენს უმაღლეს შეფასებას. მაქსიმალური ჯამური ქულა შეადგენს 90-ს. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 40% ჯამური ქულის. ქულათა გაანგარიშება ხდება კომისიის წევრთა ინდივიდუალურად მინიჭებული შეფასებების ჯამის საშუალო არითმეტიკულის მიხედვით

კრიტერიუმი	**მაქს. ქულა**	**4 ქულა – ძალიან მაღალი დონე**	**3 ქულა – მაღალი დონე**	**2 ქულა – საშუალო დონე**	**1 ქულა – დაბალი დონე**
პროფესიული მოტივაცია	40	აქვს მკაფიო ინტერესი საბუღალტრო პროფესიისადმი; შეუძლია არგუმენტირებულად ახსნას, რატომ აირჩია ეს მიმართულება; სთავაზობს პერსპექტიულ ხედვას კარიერულ განვითარებაზე.	ავლენს ინტერესს პროფესიაში; ახსენებს მიზნებსა და მიზეზებს, თუმცა არგუმენტაცია ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული.	ზოგადად გამოხატავს სურვილს ამ სფეროში სწავლის მიმართ, მაგრამ მოტივაცია არ არის კონკრეტული ან საფუძვლიანი.	მოტივაცია სუსტია ან ფორმალური ხასიათისაა; კანდიდატს უჭირს ახსნა, რატომ აირჩია ეს პროფესია.

ინფორმირებულობა არჩეული პროფესიის შესახებ	30	გამოირჩევა სიღრმისეული ცოდნით პროფესიის არსის, ამოცანებისა და სამუშაო სპეციფიკის შესახებ; იცნობს რეალურ პრაქტიკას.	კარგად არის ინფორმირებული საბაზისო ამოცანებისა და მიმართულების შესაძლებლობების შესახებ.	აქვს მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა პროფესიის შესახებ, ცოდნა არასრულია.	არ გააჩნია ზუსტი ან რეალური წარმოდგენა პროფესიის შინაარსზე.
კომუნიკაციური უნარები	20	გამოხატავს აზრებს ნათლად და ლოგიკურად. უსმენს და პასუხობს შეკითხვებს.	მეტყველება ძირითადად მკაფიო და ეფექტურია, მცირე შეუსაბამობებით.	კომუნიკაცია ხანდახან არ არის ნათელი ან თანმიმდევრული.	უჭირს აზრის ჩამოყალიბება